ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 579

22 ნოემბერი
"---"-------- 2024 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 19 ივლისის № ე-35-13-820 აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმით (ადმინისტრაციული დაპირება) გათვალისწინებული პირობის ცვლილების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ზ" ქვეპუნქტის და 127² მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებით დამტკიცებული წესის 24-ე მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე, ასევე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 19 ივლისის № ე-35-13-820 აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმით (ადმინისტრაციული დაპირება) გათვალისწინებული პირობის ცვლილების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 23 ოქტომბრის №24.1765.1992 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 19 ივლისის №ე-35-13-820 აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელ ოქმში (ადმინისტრაციული დაპირება) და მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მშენებლობის უფლების გარეშე. სხვა მიწის ნაკვეთთან გაერთიანების შემთხვევაში, მოქმედი ფუნქციური ზონის შესაბამისად, სამშენებლო კოეფიციენტების (კ-1, კ-2, კ-3) საანგარიშო ფართობის დათვლისას გათვალისწინების უფლებით. არსებული სერვიტუტის შენარჩუნების პირობით."

აღნიშნული ცვლილება განხორციელდება იმ პირობით, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ ამ განკარგულების საფუძველზე შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი)

კალენდარული დღის ვადაში შპს „იმედი 2“ (ს/ნ. 200015107) უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 41 020 (ორმოცდაერთი ათას ოცი) ლარის გადახდას.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე